საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2729/01
22/03/2021

2729-01-2-202103221601

შპს „ავიაკოპტერს“
მის: *ქ. თბილისი, სამგორის რაიონი,*
აეროპორტის დასახლება
ელ. ფოსტა: geoaviacopter@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აეროდრომის მშენებლობას და ექსპლუატაციას (ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობა).

გაცნობებთ, რომ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში რამდენჯერმე იქნა გადაგზავნილი წარმოდგენილი დოკუმენტაცია საპროექტო ტერიტორიის ზონირების გათვალისწინებით შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით (იხ. თანდართული წერილები). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 10 მარტის N**16-01210691891** წერილით სამინისტროს ეცნობა მერიის პოზიცია, რომლის თანახმადაც, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება მდინარის წყალდაცვითი ზოლის შეზღუდვა, რომელიც რეგულირდება „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. რაც შეეხება, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე დადგენილ ფუნქციურ ზონირებას, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მზადყოფნას შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ფუნქციური ზონის ცვლილების ინიცირებასთან დაკავშირებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის

თანახმად, მდ. მტკვრის წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 50 მეტრს. წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება მდ. მტკვრის წყალდაცვით ზოლში. ვინაიდან წყალდაცვით ზოლში მოქმედებს გარკვეული სახის აკრძალვები შპს ,,ავიაკოპტერმა" უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის ზონირებასთან დაკავშირებით საჭიროა საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმება.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის 1 (ერთი) თვის ვადაში სამინისტროში წარმოდგენა. აღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, იმსჯელოს ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე აეროდრომის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობა).

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე